25/01/2024

MES 8 24 000001.1/8

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
ბრძანება

№1.1/8

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესისა და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე, 57-ე და 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6, მე-7 ნაწილებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს **„სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესი"** წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს **„დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა"** წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს **„სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესისა და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ"** სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 23 ივლისის №1.1/92 ბრძანება, მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს **„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე**

მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 06 დეკემბრის N1.1/165 ბრძანება, მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

5. **დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.**
6. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 22 იანვრის N54676 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ტატიშვილი დავით